

შპს სიპიეს ჯორჯია
ფინანსური უწყისი
2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

სარჩევი:

ფინანსური ინფორმაცია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა	8
5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	11
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი	12
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
8. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება	12
9. ფული და ფულის ექვივალენტები	13
10. ფინანსური ვალდებულება.....	13
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
12. მიწოდების ხარჯი	14
13. ადმინისტრაციული ხარჯი	14
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	14
15. პირობითი ვალდებულებები	14
16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15

შპს სიპიეს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	5	211,480	163,975
არამატერიალური აქტივები	5	1,149	1,358
სულ გრძელვადიანი აქტივები		212,629	165,333
მოკლევადიანი აქტივები:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	6	1,768,813	1,109,357
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	216,278	618,039
საგადასახადო აქტივი	8	15,928	-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	1,947,035	1,872,741
სულ მიმდინარე აქტივები		3,948,054	3,600,139
სულ აქტივები		<u>4,160,683</u>	<u>3,765,470</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:			
საკუთარი კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		-	248,071
გაუნაწილებელი მოგება		2,933,347	2,226,551
პერიოდის მოგება		798,133	706,796
სულ საკუთარი კაპიტალი		3,731,480	3,181,418
გრძელვადიანი ვალდებულება:			
ფინანსური ვალდებულება	10	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	429,203	580,158
ფინანსური ვალდებულება	10	-	-
საგადასახადო ვალდებულება	8	-	3,895
სულ ვალდებულებები		429,203	584,052
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>4,160,683</u>	<u>3,765,470</u>

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დან ვერბერ

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილი

შპს სიპიეს ჯორჯია**სრული შემოსავლების ანგარიშგება**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან		6,073,512	4,464,181
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,450,438)	(3,086,831)
საერთო მოგება		1,623,074	1,377,350
საოპერაციო ხარჯი:			
მიწოდების ხარჯი	12	(27,522)	(5,807)
ადმინისტრაციული ხარჯი	13	(824,473)	(546,123)
საოპერაციო მოგება		771,079	825,420
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი:			
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		41,381	(123,555)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო		41,194	4,931
მოგება დაბეგვრამდე		853,654	706,796
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის წმინდა მოგება		<u>853,654</u>	<u>706,796</u>

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დან ვერბერ

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია

შპს სიპიეს ჯორჯია**კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	პერიოდის წმინდა მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	278,071	2,226,551	2,504,622
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(30,000)	-	-
პერიოდის წმინდა მოგება	-	706,796	706,796
31 დეკემბერი 2022	248,071	2,933,347	3,181,418
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(248,071)	(55,521)	(303,592)
პერიოდის წმინდა მოგება	-	853,654	853,654
31 დეკემბერი 2023	-	3,731,480	3,731,480

შპს სიპიეს ჯორჯია**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	2023	2022
მოგება დაბეგვრამდე	853,654	706,796
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:		
კორექტირება:		
ცვეთა	46,220	8,990
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული (მოგება)/ზარალი		
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:		
მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	401,761	(259,408)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(659,456)	(18,520)
ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(150,956)	281,397
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	491,223	719,255
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:		
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვის/გაყიდვის შედეგად		
მიღებული/(გადახდილი) ფული	(113,337)	60,790
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(113,337)	60,790
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:		
გრძელვადიანი სესხის აღების/დაფარვის შედეგად		
მიღებული/(გადახდილი) ფული	(248,071)	
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები:	(55,521)	(30,000)
სულ ფულისა და ფულის ექვივალენტების ზრდა	74,291	750,045
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,872,741	1,122,696
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,947,035	1,872,741

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სიპიეს ჯორჯია (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა საგზაო სამშენებლო ტექნიკის და მოწყობილობების იმპორტი და რეალიზაცია. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია 1 სასაწყობე ფართით, საიდანაც ახორციელებს რეალიზაციას. კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2023 წელს შეადგენს ათს. შპს სიპიეს ჯორჯია წარმოადგენს ოფიციალურ დილერსა და დისტრიბუტორს მსოფლიო ბრენდებისა და მწარმოებლებისათვის საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის დან ვერბერის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ყაზბეგის გამზირი, 12ბ.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელები არიან:

დან ვერბერ: 90%

გიორგი რევაზაშვილი: 10%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური უწყისი მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი. ფინანსური უწყისის არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური უწყისი წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური უწყისი მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში.

პოსტკოვიდურ პანდემიას (Covid-19) არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. საქართველოს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწვეტილებით რეგულაციები მნიშვნელოვნად არ შეხებია საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროებს, შესაბამისად, კომპანიის დაგეგმილ შემოსავლებზე არ მოუხდენია არსებითი გავლენა. შედეგად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სააღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოიხილება სისტემატიურად. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის ღირებულება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას.

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)

იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	15
მანქანა-დანადგარები	5
სამუშაო იარაღები	2
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	10

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

სქემიანობის პროცესში კომპანია ღვას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური უწყისის სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები, მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. მენეჯმენტის მოსაზრებით, ფინანსური უწყისის შედგენის თარიღისთვის ფინანსური მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული მოთხოვნები, რომელიც საჭიროებს გაუფასურების ანარიცხების შექმნას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის უწყისში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	211,741	331	3,376	830	216,278
ფული და ფულის ექვივალენტები	644,358	190,524	985,962	126,191	1,947,035
	856,099	190,855	989,338	127,021	2,163,313
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	306,778	50,253	50,021	22,151	429,203
	306,778	50,253	50,021	22,151	429,203
ღია საბალანსო პოზიცია	1,162,877	241,108	1,039,359	149,173	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	2023	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%
დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	48,222	(48,222)
	2023	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	207,872	(207,872)
	2023	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%
გირვანქა სტერლინგის ეფექტი მოგება/(ზარალი)	29,835	(29,835)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა;
- გამოიმუშაოს დამფუძნებლისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სიპიეს ჯორჯია**ფინანსური უწყისი**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა- დანადგარები	სამუშაო იარაღები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	არამატერ. აქტივები	იჯარით აღ. ფართის კეთილმო.	სულ
31.12.2021	4,601	2,434	8,986	192,773	1,672	24,648	235,114
31.12.2022	4,601	2,723	12,442	92,667	1,358	51,542	165,333
ისტორიული ღირებულება	8,249	18,789	44,471	161,680	2,089	56,044	291,323
31.12.2022							
შეძენა			8,775			75,334	84,109
გასვლა							
31.12.2023	<u>8,249</u>	<u>18,789</u>	<u>53,246</u>	<u>161,680</u>	<u>2,089</u>	<u>131,378</u>	<u>375,431</u>
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2022	(3,620)	(18247)	(35,903)	(56,879)	(731)	(1,202)	(116,582)
ცვეთა	(2761)	(309)	(5301)	(23673)	(209)	(13967)	(46220)
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2023	(6381)	(18556)	(41204)	(80552)	(940)	(15169)	(162802)
31.12.2022	4,601	2,723	12,442	92,667	1,358	51,542	165,333
31.12.2023	1,868	234	12,042	81,128	1,149	116,208	212,629

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	1,768,813	1,109,357
მასალები და ნედლეული		
	1,768,813	1,109,357

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
ფინანსური		
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი	211,617	227,269
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი	4537	390,675
არაფინანსური		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	124	95
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	216,278	618,039

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

8. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

საგადასახადო აქტივი და ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
საგადასახადო აქტივი		
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	15,928	-
სულ საგადასახადო აქტივი	-	-
საგადასახადო ვალდებულება		
დამატებული ღირებულების		
გადასახადი	-	-
ქონების გადასახადი	-	3,895
იმპორტის გადასახადი	-	-
სულ საგადასახადო ვალდებულება	-	-

შპს სიპიეს ჯორჯია

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფული სალაროში	651	435
ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე	1,946,383	1,872,306
	1,947,035	1,872,741

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

10. ფინანსური ვალდებულება

ფინანსური ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია
ლარში, შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები		
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	-	-
გრძელვადიანი სესხები		
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	-	-

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია
შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური		
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი	8,516	29,846
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი	122,425	405,395
არაფინანსური		
მყიდველებისგან მიღებული ავანსები	298,262	144,917
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	429,203	580,158

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ
ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

12. მიწოდების ხარჯი

მიწოდების ხარჯები 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	26,026	4,995
პრომო და სარეკლამო მასალის ხარჯი	1,496	812
	27,522	5,807

13. ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	532,237	358,645
იჯარის ხარჯი	67,156	67,765
ძირითადი საშუალებების ცვეთა	46,220	8,990
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	9,114	5,961
ტრანსპორტირების ხარჯი	6,142	432
მივლინების ხარჯი	15,407	12,526
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	5,963	7,797
დაზღვევის ხარჯი	9,056	7,132
რემონტის ხარჯი	291	45,123
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	132,887	31,752
	824,473	546,123

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არა-მაკორექტირებადი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

15. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებებზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

15. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ლივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ ღირებულებებზე, იმ პერიოდში, როდესაც ღირებულებები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის ღირებულება, ან როდის მოხდა ღირებულების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად ღირებულების სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ უწყისში. მომავალში, განაწილებული ღირებულების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 559,722 ლარი.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლები მოიცავს საწყობიდან მარაგების გაყიდვას, ასევე ექსპორტისა და რეექსპორტის რეჟიმით მარაგების რეალიზაციას, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყიდვებსა და საშუამავლო საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს. საწყობიდან მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლების მიერ საწყობში პროდუქციის ყიდვის მომენტში და შესაბამისად კომპანია შემოსავლებს აღიარებს დროის ამ მონაკვეთში. ექსპორტის, რეექსპორტის, საქართველოს ფარგლებს გარეთ რეალიზაციის შემთხვევაში შემოსავლის აღიარება დამოკიდებულია საერთაშორისო სავაჭრო პირობებსა (Incoterms) და მიღებული ავანსების კურსებზე. საშუამავლო საქმიანობის შემთხვევაში რეალიზაციის აღიარება ხდება დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე გამოწერილი ინვოისების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, ფასდათმობისა და გადასახადების გამოკლებით. მომხმარებლებს აქვთ უფლება რომ პროდუქცია დააბრუნონ ან ჩაანაცვლონ, თუმცა უკან დაბრუნებული პროდუქციის სვედრიტი წილი გაყიდულ მთლიან პროდუქციაში არამატერიალურია.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქტზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად კომპანია არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია პროდუქციას ყიდის ფიქსირებული ფასებით თითოეულ პროდუქტზე, შესაბამისად კომპანია არ იყენებს მსჯელობას თითოეულ გასაყიდ პროდუქტზე ფასების განაწილებისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, დამოკიდებული აქტივის ფლობის მიზანზე. კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შეოსავლის ასახვით.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს- მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთ გადახურვისთვის.

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯფუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორისი სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი / ლარი	ევრო / ლარი	გირვანქა სტერლინგი / ლარი
კურსი 2022 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	3.2581
კურსი 2023 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753	3.4228

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ღივილენდები

ღივილენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური უწყისის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ უწყისში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.